ფასიანი პოლიტიკური რეკლამა



ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №40 (10180), 3 ოქტომბერი, 2016 წ. ფასი 50 თეთრი.

გიზო ჟორდანიას სამკურნალოდ ბიძინა ივანიშვილმა სტამბულის ერთ-ერთ კლინიკაში 250 ათასი დოლარი გადარიცხა

ალიონი. დიდ მაესტროდ წოდებული რეჟისორის გიზო ჟორდანიას სამკურნალოდ ბიძინა ივანიშვილმა სტამბულის ერთ-ერთ კლინიკაში 250 ათასი დოლარი გადარიცხა.

ამის შესახებ ოზურგეთელ ჟურნალისტებს ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვასილ ჩიგოგიძემ 28 სექტემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე განუცხადა.

„თქვენ იცით, რომ წლეულს ბატონი გიზო რამდენიმე თვის განმავლობაში ჩვენს თეატრში მოღვაწეობდა, მის მიერ დადგმული „ბოშებით“ გავხსენით ნოდარ დუმბაძის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი. გარდა ამისა, დიდმა მაესტრომ ჩვენს მსახიობებს ჩაუტარა მასტერკლასები.

თბილისში დაბრუნების შემდეგ, სამედიცინო შემოწმებისას ბატონ გიზოს სიმსივნე აღმოაჩნდა და ის ახლა სტამბულის ერთ-ერთ კლინიკაში მკურნალობს. როგორც სატელეფონო საუბარში გავიგე, ჯანდაცვის სამინისტრომ ყველაფერი იღონა სამკურნალოდ სტამბულში მის გასაგზავნად. გუშინწინ სტამბულის იმ კლინიკაში, სადაც ბატონი გიზო მკურნალობს ბიძინა ივანიშვილმა 250 ათასი დოლარი გადარიცხა. ერთი სიტყვით, დიდი იმედი გვაქვს, რომ ჩვენი დიდი მაესტრო მალე გამოჯანმრთელდება და ოზურგეთის თეატრში კვლავ განახორციელებს მისი ხელწერისათვის დამახასიათებელ ორიგინალურ დადგმებს“.



პრესკონფერენცია

ასეთ ევაკუაციას ყველა თეატრი ინატრებდა

ალიონი. ასეთ ევაკუაციას ყველა თეატრი ინატრებდა

149-ე თეატრალური სეზონის დაწყების დღეს, 28 სექტემბერს ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო პროფესიონალური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვასილ ჩიგოგიძემ პრეკონფერენცია გამართა.

ბატონმა ვასომ აღნიშნა, რომ ახალი თეატრალური სეზონის წინ, თეატრის შენობის რესტავრაციასთან დაკავშირებით, ევაკუაციურ მდგომარეობაში არიან, მაგრამ ასეთ ევაკუაციას ყველა თეატრი ინატრებდა. როგორც ცნობილია, ბიძინა ივანიშვილის გადწყვეტილებით, ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით, აქ უკვე დაიწყო რესტავრაციისწინა სამუშაოები. აქვე გირკვა, რომ ბატონ ბიძინას ეს გადწყვეტილება ოზურგეთის თეატრში ჟურნალისტებთან და საზოგადოებასთან შეხვედრაზე, ერთ-ერთი ჟურნალისტის კითხვის შემდეგ არ მიუღია, არამედ ამ შეხვედრის დაწყებამდე, სამხატვრო ხელმძღვანელის კაბინეტში თეატრის თავკაცთან საუბრისას:

„აგერ, ამ ოთახში ვოკექით მთელი 40-45 წუთი, უფრო სწორად, ორივე ფეხზე ვიდექით ბატონი ბიძინას დაცვის უფროსთან და პრემიერთან ერთად. მან გულწრფელად მიხადა ბოდიში. მითხრა, ეტყობა, გამიმრჩარ, არა, თქვენ ხომ თქვით, რომ ბათუმის თეატრის შემდეგ დაიწყებდით-მეთქი, ვუთხარი. ცოტა გაღიზიანდა, რა შუაშია ბათუმის თეატრი, მე ეს უნდა დამწყო ადრე, ბლექსი არენა არ უნდა გახსნილიყო, სანამ ოზურგეთის თეატრი არ დამთავრდებოდაო. ეს იმიტომ, რომ ჩვენ ძალიან დიდი გეგმები გვაქვს, ხალხო, ოზურგეთის სათეატრო შენობა უნდა გახდეს ბლექსი არენას ფარმა შენობა. გადარეკა, გადმორეკა, გაარკვია, მომბრუნდა და მითხრა, მეც მომესადა ბოდიში, რომ არ შევასხენე. ჩამომითვალა, სამკერ ხომ შევხვდით ერთმანეთს, ქალბატონ ნინელი ჭანკვეტაძესთან ერთად ხომ ვისაუბრეთ, მაშინ ხომ უნდა გეთქვა? ვუთხარი, არ უნდა მეთქვა, ჩემს თავს ვერ მივეცი ამის უფლება და მგონი, არც ვიქნებოდი მართალი-მეთქი“. - აღნიშნა პრეკონფერენციაზე ვასილ ჩიგოგიძემ.

მანვე ვრცლად ისაუბრა, ამ სარესტავრაციო სამუშაოების გამო, თეატრის შემოქმედებითი გეგმების კარდინალურად შეცვლის თაობაზე, რომ ახალ თეატრალურ სეზონს საპარლამენტო არჩევნების შემდეგ (ერთი საარჩევნო უბანი თეატრის შენობაშია განთავსებული) მცირე დარბაზში განგრძობენ, რომ ახალ თეატრალურ სეზონს გიზო ჟორდანიას „ბოშებით“ და „ფეფქია და შვიდი ჯუჯათი“ ხსნიან, რომლის რეჟისორია ქალბატონი ლალი თამაგარი, მსატვარი — ლომგულ მურუსიძე, ხოლო დადგმის ხელმძღვანელი - ვასილ ჩიგოგიძე.

როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა განაცხადა, სარესტავრაციო სამუშაოები ორწელიწადნახევარს მიიც გასტანს:

„სარესტავრაციო სამუშაოები ორწელიწადნახევარს მიიც გასტანს. ყველაფერი ხდება ჩვენი სურვილის გათვალისწინებით. მოკლედ, ოზურგეთის თეატრს ეწება ხმის ჩამწერი სტუდია, ტანც-კლასები, თავისი სარკეებიანი დარბაზით, მსახიობთა ტრენაჟორები, დიდი მუზეუმი. გაიხსნება ის მესამე ჩაკეტილი სართული, გაკეთდება ამფითეატრი თავისი ბენუარის ლოჟებით, განათება, გასმოვანება ჩამოვა პირველ იარუსზე, საამისოდ იქნება სპეციალური ჭრილი.

ოზურგეთის თეატრს სხვებზე გაუჭირდება მესამე სცენა. იქნება მინიმუმ სამი სასტუმრო ოთახი, ორი ლუქსი საგრიმიორო, 6 ახალი საგრიმიორო. მოხდება ორი სართულის მოშენება 8 მეტრი სიგრძით, რომლის პირველ სართულზე განთავსდება სადეკორაციო - სადურგლო განყოფილება, დეკორაციის შესანახი. ახალ ელფერს და ფუნქციას შეიძენს თეატრის გვერდით მდებარე პარკი“.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

5 ოქტომბერი მასწავლებელთა საერთაშორისო დღეა

ეს დღე მნიშვნელოვანი მომენტია სრულიად საგანმანათლებლო საზოგადოებისათვის.

„5 ოქტომბერს მთელი მსოფლიოს მასშტაბით მასწავლებელთა ხმები უნდა გაჟღერდეს, რათა მთავრობებს შევახსენოთ მათი ვალდებულებები. ამაღლდეს და დაფასდეს მასწავლებლის პროფესია“. ასეთია 5 ოქტომბრის დამფუძნებელთა გზავნილი.

მასწავლებელთა საერთაშორისო დღე 1994 წლიდან აღინიშნება. მისი ფუძემდებელია განათლების ინტერნაციონალი, რომლის 401 წევრი ორგანიზაცია მსოფლიო მასშტაბით აღნიშნავს 5 ოქტომბერს, მათ შორის საქართველოც.

ძვირფასო პედაგოგებო! გულწრფელი სიყვარულით და უღრმესი პატივისცემით გილოცავთ პროფესიულ დღესასწაულს!

მადლობას გწირავთ მუხლჩაუხრელი შრომისათვის, გულისხმიერებისა და კეთილსინდისიერებისათვის. აუწყავია თქვენი საქმისადმი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება, გმირობის ტოლფასია თქვენი შრომა, რომელიც ბრძნულ მოთმინებასა და დიდ სიყვარულს ითხოვს ბავშვებისადმი, ხალხისადმი, თქვენი პროფესიისადმი.

უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეთ.

როზა გოგუაძე,
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ეთიკის კოდექსს მოაწერეს ხელი

№60 ოზურგეთის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებმა ეთიკის კოდექსს მოაწერეს ხელი.

კოდექსის თანახმად, ხელმომწერი პატივს უნდა სცემდეს კანონს, იყოს სამართლიანი, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი. მოქმედებდეს გამჭვირვალედ, იყოს პროფესიონალი, მოწესრიგებული და პუნქტუალური.

პარალელურად კოდექსს ხელი მოაწერეს ქვეყნის ყველა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებმა.

უფასო პოლიტიკური რეკლამა

ერთ-ერთ მედიასაშუალებაში გამართული დებატის ექო დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში

28 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატებს ავთანდილ (ზურა) ჩხაიძესა („ნინო ბურჯანაძე — დემოკრატიული მოძრაობა“) და არჩილ თალაკვაძეს („ქართული ოცნება“) შორის „გურია ნიუსის“ სტუდიაში გამართულ დებატში გამოთქმული ეჭვი, რომ თალაკვაძე რეალურად „ქართულ ოცნებაში“ „ნაციონალური მოძრაობიდან“ პორტირებულ პირთა რიცხვს მიეკუთვნება, ავთანდილ ჩხაიძემ 30 სექტემბერს ოზურგეთის „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში“ ჟურნალისტებთან შეხვედრისას გაასაჯაროვა.

ჩხაიძის თქმით, თალაკვაძის წარსული საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული „ნაციონალური მოძრაობის“ ყველასთვის ცნობილ სახეებთან (ალექსანდრე ლომაია, დავით დარჩიაშვილი, გიორგი ტუღუში), თავისუფლების ინსტიტუტის თუ ჯორჯ სოროსის ფონდის ლიდერებთან.

არჩილ თალაკვაძემ კატეგორიულად უარყო დასახელებულ პირებთან მუშაობის ფაქტი, თუმცა სოროსის ფონდისადმი კეთილგანწყობა და მადლიერება გამოხატა.

ჩხაიძემ ჟურნალისტებს არჩილ თალაკვაძის, ხსენებული პირების ბიოგრაფიებისა და ინტერნეტპუბლიკაციების გადახედვა შესთავაზა.

გურული ეთნოგრაფიული თემატიკით გამორჩეული ექსპოზიცია

ნუკრი ნიკოლაიშვილი

საყოველთაო დაძაბულობისა და პოლიტიკური მიეთ-მოეთის ფონზე, ჩვენს სინამდვილეში ერთგვარი შვების ტოლფასია ხელოვნების საუფლოში დავანება.

შეკრებილებმა განმუხტვის სიმპტომად შეაფასეს ქალაქ ოზურგეთის მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში წარმოდგენილი ჩოხატაურელი მხატვრის გურამ (ბაჩო) მიქაძის ფერწერული ნამუშევრები, სადაც მოეწყო ფერმწერის პერსონალური გამოფენა.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ შუაფარცხმელი ხელოვანი თავის ემოციურ შემოქმედებაში მეტწილად იყენებს არა გუაშსა ან ზეთის საღებავებს, არამედ ფერად ფანქრებსა და ტუშს.

მხატვრის კოლორიტულ შემოქმედებაში სჭარბობს ეროვნული თემატიკა, გურული ეთნოგრაფია, მრავლადაა წარმოდგენილი პეიზაჟები, ნატურმორტები, იგრძნობა გრაფიკული სტილი... საგამოფენოდ ავტორმა, მისივე თქმით, წარმოადგინა ბოლო სამი წლის განმავლობაში შექმნილი 90-მდე ფერწერული ნამუშევარი. ექსპოზიცია შთამბეჭდავი და ამასთან, ერთობ მსუბუქი და ემოციურია.

შეკრებილთ თავიანთი შეხედულებანი გაუზიარეს სახვითი ხელოვნების ცენტრის დირექტორმა ავთო თავართქილაძემ, ცნობილმა ოზურგეთელმა მხატვარმა ვახტანგ მამეიშვილმა, გურიის მხატვართა კავშირის ხელმძღვანელმა თამაზ დარჩიამ და სხვებმა.

განცხადებები

იყიდება ბინა გრიბოედოვის ქუჩა №21-ში, I სართული, 90 კვადრატული მეტრი, რომელიც გამოიყენება საცხოვრებლად, კომერციული საჭიროებისათვის, საოფისედ.
ტელ. 599 58 75 32.

* * *

იყიდება მიწის ნაკვეთი 9400 კვადრატული მეტრი ქობულეთის ტრასაზე, ანასეულის გადასახვევიდან 400 მეტრის დაშორებით.
ტელ. 599 58 75 32.

* * *

იყიდება ქ. ოზურგეთში ჭავჭავაძის ქ. №8-ში ოთხ-ოთახიანი ბინა.
ტელ: 555 91 08 65

* * *

იყიდება მეწველი ფური 2 თვის ხბოთი. იწველის 7 ლიტრს.
დაგვიკავშირდით, ტელ. 577 20 95 91

სამგლოვიარო განცხადებები

გია ტუღუში ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება მძახალის **პაატა თხილაიშვილის** გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თხინვალის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს ამავე სკოლის მასწავლებელ მარინა ყიფშიძეს დედამთილის **ზინა დოლიძის** გარდაცვალების გამო.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ოზურგეთი „ქართული ოცნების“ ძირითადი მიღწევები



2012 წლიდან, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, საქართველოში დემოკრატიის ხარისხი და ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა თვისებრივად გაუმჯობესდა, აღიკვეთა ბიზნესის მასობრივი რეკეტის პრაქტიკა და დღეს ბიზნესი სრულიად თავისუფალია. ქვეყანაში უზრუნველყოფილია მედიის თავისუფლება. სასამართლო გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან; აღიკვეთა ტოტალური თვალთვალის, მოსმენისა და შანტაჟის მახინჯი პრაქტიკა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის რეჟიმის მთავარ იარაღად იყო ქცეული. ხელისუფლებამ რეფორმები გაატარა ეკონომიკის, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, განათლებისა და კულტურის სფეროებში, პრიორიტეტად აქცია განათლება და სოფლის მეურნეობა, დაიწყო მასშტაბური რეფორმები რეგიონებში.

ხელმისაწვდომი ჯანდაცვა და სოციალური დაცვის სფეროში ფუნდამენტური რეფორმების გატარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი დაპირება იყო

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, 2013 წლიდან, სამედიცინო მომსახურება ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომია და 2 მილიონ 200 ათასზე მეტი შემთხვევა დაფინანსდა. შედეგად, გადარჩა ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე, შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობა.

ამოქმედდა **C** ჰეპატიტის მკურნალობის უპრეცედენტო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც პაციენტები მკურნალობის ძვირადღირებულ კურსს სრულიად უფასოდ გადიან. პროგრამით უკვე 10 000-მა პაციენტმა ისარგებლა. განკურნების მაჩვენებელი 90%-მდეა.

2016 წლიდან ჯანდაცვის სამინისტრომ დაიწყო ძუძუს ადრეული კიბოს აგრესიული ღ-2 რეცეპტორდადებითი დიაგნოზის მქონე პირების ძვირადღირებული მედიკამენტით უზრუნველყოფა. ძუძუს კიბოს მქონე საქართველოს მოქალაქეებისთვის ჯანდაცვის სამინისტრო მედიკამენტის ღირებულების 80%-ს აფინანსებს. 30 %-ით გაიზარდა სოფლის ექიმებისა და ექთნების დაფინანსება.

გურიის რეგიონული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ავტოპარკი უახლესი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი 10 ახალი ავტომობილით განახლდა. ოზურგეთის სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონულ სამსახურს ახალი შენობა გადაეცა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 28 ამბულატორია, ქალაქ ოზურგეთში – 1 კლინიკა და 3 პოლიკლინიკა.

სოციალური დაცვის პროგრამების ბიუჯეტი 2013-დან 62%-ით გაიზარდა. შეიცვალა ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია. 2013-2016 წლებში გურიის რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასახმარებლად გამოიყო 6 512 393 ლარი, მათ შორის: ჯანდაცვის პროგრამებზე დაიხარჯა 1 685 580 ლარი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტზე 1 879 500 ლარი; გაზრდილ სოციალურ დახმარებას იღებს 5025 ოჯახი (17 359 ადამიანი).

გურიის რეგიონში განვითარების სხვადასხვა ეტაპზეა 12 ჰიდროელექტროსადგური. პროექტების ჯამური დადგმული სიმძლავრე 117 მგვტ-ს აღწევს, ხოლო ჯამური საინვეტიციო ღირებულება – 226 მლნ აშშ დოლარს.

დასრულების ეტაპზეა ნაბეღლავიჰესის მშენებლობა. ჰესის დადგმული სიმძლავრეა 1.9 მგვტ, საინვესტიციო ღირებულება კი – 4.5 მლნ. აშშ დოლარი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2012-2016 წლებში განხორციელდა და მიმდინარეობს შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, 2013 წლიდან განხორციელდა 1351 პროექტი, რაშიც 8 445 289 ლარი დაიხარჯა, მათ შორის ოზურგეთში – 613 პროექტი.

რეგიონის მასშტაბით დაიგო 80 კმ-მდე ასფალტ-ბეტონის გზა, მათ შორის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში – 30,7 კმ გზის საფარი და 2016 წელს დაგეგმილია 7 კმ-ს დაგება;

2013 წლიდან გურიის რეგიონში ინდივიდუალური ელექტრომრიცხველი დაუმონტაჟდა 11 153 ოჯახს. მათ შორის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 5071 აბონენტს. 2016 წლის ბოლომდე მრიცხველი დაუმონტაჟდება გურიის რეგიონში მცხოვრებ 2 615 ოჯახს. „სინათლე ყველა სოფელს“ პროექტის ფარგლებში, 2015 წელს ელექტროფიცირდა ნატანების დასახლებაში სოფელი მოლიანი, სადაც დღეს უკვე 24 ოჯახი მოიხმარს ელენერგიას.

რეგიონში გაზიფიცირებულია 8 ათასამდე ოჯახი, მათ შორის ოზურგეთში 4623. 2016 წლის ბოლოს ბუნებრივი აირის ქსელში რეგიონის 5 200 ოჯახი ჩაირთვება.

2012 წლის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, მმართველმა ძალამ სოფლის მეურნეობა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადა და მისი დაფინანსება საგრძნობლად გაზარდა

მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, 700 ათასზე მეტმა ფერმერმა 351 მილიონი ლარის დახმარება მიიღო. შედეგად ყოველწლიურად, 200 ათას ჰექტარზე მეტი მიწა მუშავდება. სამწლიანი პროგრამის განხორციელების შედეგად, მიტოვებულ, ყამირადქცეულ მიწებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულება დაუბრუნდა. ოზურგეთში, სოფელ ლაითურში 90 ჰა-ზე გაშენებულია და სახელმწიფოს მხარდაჭერით დამატებით 40 ჰა-ზე კიდევ გაშენდება ლურჯი მოცვის პლანტაცია.

ოზურგეთში, სოფელ ლაითურში 90 ჰა-ზე გაშენებულია და სახელმწიფოს მხარდაჭერით დამატებით 40 ჰა-ზე კიდევ გაშენდება ლურჯი მოცვის პლანტაცია.

2015 წელს დაიწყო და მიმდინარეობს ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრის რეაბილიტაცია და ლაბორატორიის გადაიარაღება.დაგეგმილია სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის საცდელი სანერგე მეურნეობის მოწყობა ოზურგეთსა და ჩოხატაურში. შეირჩა ნაკვეთები, მიმდინარეობს შეღობვითი სამუშაოები.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ინიციატივითა და მუნიციპალური ბიუჯეტით, ლიხაური-ჭანიეთის საზღვარზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4.5 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე უნიკალური, გურული ვაზის 60-მდე ჯიშის გამრავლების მიზნით, სანერგე მეურნეობა მოეწყო. სადემონსტრაციო ნაკვეთზე დაირგო სხვადასხვა ჯიშის 200-მდე ხეხილის ნერგი. იგეგმება ახალი საკვები კულტურების ელიტური ჯიშების დანერგვა, მაღალპროდუქტიული საქონლის ჯიშების გამრავლება. გარდა მესაქონლეობისა, აქ მოხდება უხვმოსავლიანი ერთწლიანი საკვები კულტურების დათესვა, რაც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პროდუქტიულობას მნიშვნელოვნად გაზრდის.

2015 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და კომპანია „კავკასიის გენეტიკას“ შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე დაიწყო ღორის მრავალპროდუქტიული ჯიშების ხელოვნური განაყოფიერების დანერგვა. უკვე დასრულდა მეღორეობის ლაბორატორიის მშენებლობა, რომელიც ოქტომრიდან დაიწყებს ფუნქციონირებას და ხელოვნური განაყოფიერების გზით ახალი ჯიშების გამოყვანას შეუწყობს ხელს.

2015 წელს ოზურგეთში აშენდა და გაიხსნა სურსათის ეროვნული სააგენტოს ახალი რეგიონული ოფისი. თანამედროვე სტანდარტების შენობა და აღჭურვილობა მოსახლეობას საშუალებას აძლევს, ადგილზე მიიღოს სპეციალისტების მომსახურება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ასკანაში მიმდინარეობს ღვინის მუზეუმის მშენებლობა, პროექტის მხარდ-აჭერისთვის, შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში, 600 000 დოლარი გაიცა, მშენებლობა 2016 წლის ბოლოსთვის დასრულდება.

გურიის რეგიონში რეგისტრირებულია 60 კოოპერატივი, მათგან ოზურგეთში – 16. „მცირეგაბარიტიანი აგროტექნიკით აღჭურვის პროგრამის“ ფარგლებში 39 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივზე გაცემულია 79 აგროკომპლექტი და 4 ხელის სათესი, მათგან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 10 კოოპერატივისთვის 17 აგროკომპლექტი და 3 ხელის სათესი; განათლების რეფორმა „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან მისი დაფინანსების გაზრდით დაიწყო

2012 წელთან შედარებით, განათლების სფეროს ბიუჯეტი 56%-ით გაიზარდა; 41%-ით გაიზარდა უმაღლესი განათლების, ხოლო 83%-ით – პროფესიული განათლების დაფინანსება. უნივერსიტეტებში დაიწყო პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსება. რიგი ფაკულტეტებისა სრულიად უფასო გახდა, რითაც უკვე ისარგებლა 10 000-მდე სტუდენტმა.

2016 წლის სექტემბერში ქუთაისში დაიწყება საქართველოში უპრეცედენტო საუნივერსიტეტო ქალაქის – ტექნოლოგიური უნივერსიტეტისა და ტექნოლოგიური ინსტიტუტის მშენებლობა, რომელსაც, ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით, საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ განახორციელებს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 37 საჯარო სკოლაა. ამათგან ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა 44 სკოლაში. 2013 წლიდან სკოლის მოსწავლეებს სახელმძღვანელოები გადაეცემა უფასოდ. საჭიროების მიხედვით მოსწავლეებს ემსახურება სკოლის ავტობუსი. მასწავლებლის საბაზისო ხელფასი 65%-ით, საშუალო ხელფასი კი 70%-ით გაიზარდა.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები გახდა სრულიად უფასო, შესაბამისად გაიზარდა საბავშვო ბაღებში ბავშვების რაოდენობა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 34 საბავშვო ბაღი. აქედან 2016 წელს მთავრდება საბავშვო ბაღის მშენებლობა ბახვში, ცხემლისხიდში, ჭანიეთში. სოფ. ოზურგეთში დაწყებულია ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნები

კენჭისყრა იმართება
08:00 საათიდან 20:00 საათამდე



ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

კენჭისყრის შენობაში შესვლისას ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე დევნილის მოწმობა) და გაიარეთ მასთან მარკირების შემოწმების პროცედურა.

თუ აღმოჩნდა, რომ გაქვთ მარკირება, არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება

მარკირების შემოწმების პროცედურის გავლის შემდეგ მიდით სარეგისტრაციო მაგიდასთან და რეგისტრატორს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე დევნილის მოწმობა) ***გაიკეთეთ მარკირება***



მარკირებაზე უარის თქმის შემთხვევაში არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება

ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ გააკეთეთ ხელმოწერა;
მიიღეთ რეგისტრატორისგან ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენები;
კენჭისყრის კაბინაში შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი;
თუ დამოუკიდებლად არ შეგიძლიათ შეავსოთ საარჩევნო ბიულეტენი, უფლება გაქვთ, კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მოიწვიოთ ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა.

თუ გაგიფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი, მიმართეთ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს,გადაეცით გაფუჭებული და მოითხოვეთ ახალი საარჩევნო ბიულეტენი

კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ აიღეთ სპეციალური კონვერტი
და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენები მოათავსეთ მასში;
სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში.

კენჭისყრაში მონაწილეობის შემდეგ, გთხოვთ, დატოვოთ საარჩევნო უბანი

ცესკოს სატელეფონო/
საინფორმაციო ცენტრი – 2510051

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

დემოკრატიის სერვისი!

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

დაფინანსებულია

მოხვდნენ თუ არა ოლქის მიერ დანიშნულ წევრთა სიაში სახელისუფლებო პარტიის აქტივისტები



8 სექტემბერს საუბნო საარჩევნო კომისიები მუშაობას შეუდგნენ. როგორც საარჩევნო კანონმდებლობით არის განსაზღვრული, კომისიებში ექვსი წევრი საარჩევნო ოლქიდან არის არჩეული, ხოლო დანარჩენი შვიდი, კვალიფიციურ პარტიებს წარმოადგენს.

ოზურგეთის №59/60 საარჩევნო ოლქის 49 უბანში არჩეული იქნა კომისიის 294 წევრი. გასულ არჩევნებთან შედარებით, საარჩევნო უბნებისა და უბნებში კომისიის წევრთა რაოდენობის კლება, ფოთის და ლანჩხუთი-ჩოხატაურის საარჩევნო ოლქებზე ოზურგეთიდან 10 უბნის გადაცემითაა განპირობებული.

ოპოზიციური პარტიების მტკიცებით, ხელისუფლება ცდილობს ოლქის მიერ არჩეულ წევრებად პარტიის აქტივისტების ჩართვას საუბნო კომისიებში. 06 და 08 საარჩევნო უბნებზე კომისიებში წევრთა შემადგენლობის უმრავლესობა, 2012 წლის საპარლამენტო და მომდევნო წლების არჩევნების პერიოდში იგივე რჩება. არის შემთხვევები, როცა ერთიდაიგივე პიროვნება ოლქის მიერ იყო არჩეული, მომდევნო, ან წინა არჩევნებზე კი, სხვადასხვა პარტიის მიერ დანიშნულ წევრს წარმოადგენდა.

ჩვენს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციით, 59/60 საარჩევნო ოლქის № 06 უბანზე კომისის თავმჯდომარე თამარ კიღურაძეა. იგი 2012 წელს სახელისუფლებო პარტიას – („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) წარმოადგენდა, ხოლო მომდევნო 2013-14-16 წლებში – კოალიცია „ქართული ოცნებას“ .

რაც შეეხება № 08 უბანს, 2012 წლის არჩევნებში კომისიის თავმჯდომარე თემურ ზღულაძე იყო, რომელიც მომდევნო არჩევნებში მარინა ნაკაიძემ ჩაანაცვლა.

ზემოთ აღნიშნული ორი უბნის მონაცემებით, მიმდინარე წლის არჩევნებში, ოლქის მიერ არჩეულ წევრთა პოლიტიკური აქტივობების სურათი ასე იკითხება:

№08 საარჩევნო უბანზე კომისიის წევრი ნატო ჩავლეშვილი 2012 და 2016 წლის არჩევნებში ოლქიდან არჩეული წევრია, ხოლო 2014 წელს „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენდა; მანანა გობრონიძე 2014 წლის არჩევნებში საუბნო კომისიაში პარტია „მრეწველები გადაარჩენს საქართველოს“ წარმომადგენელი იყო, 2016 წელს იგი ოლქიდან დანიშნული წევრია; თეა გოგოტიშვილი და თამარ ეზიეშვილი 2012 წელს კომისიაში „ქრისტიან- დემოკრატიული მოძრაობიდან“ იყვნენ დანიშნული, 2014-2016 წლებში ოლქიდან არჩეული წევრები არიან; ლელა როყვა 2014 წელს ოლქის მიერ დანიშნული კომისიის წევრი იყო, 2016 წლისთვის პოლიტიკური გაერთიანება „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ მიერ დაინიშნა; გოჩა ჯაში 2012 წელს „კონსერვატიულ პარტიას“ წარმოადგენდა, 2014 წელს კი – „თავისუფალ დემოკრატებს“.

„თავისუფალი დემოკრატების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, თემურ სალუქვაძე თვლის, რომ ოლქის მიერ დანიშნულ წევრებს სახელისუფლებო პარტიის აქტივისტები წარმოადგენენ. „ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ გვქონდა ინფორმაცია, რომ სახელისუფლებო პარტია შეეცდებოდა თავიანთი მხარდამჭერებით დაეკომპლექტებინა საოლქო კომისიის წევრები. სამწუხაროდ, ეს პროგნოზი გამართლდა და დანიშვნები ზუსტად ისე განხორციელდა. ამის შესახებ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ ვაცნობეთ. ისიც შემიძლია გითხრათ, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით, პროცედურა ერთი მიმართულებით განხორციელდა. რეალურად, საოლქო კომისიები „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებით არის დაკომპლექტებული. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ამისათვის 2012 წელს არ გვიბრძოლია,“- აცხადებს თემურ სალუქვაძე.

ოზურგეთის 59/60 ოლქის თავმჯდომარე, ზვიად თენიეშვილი აცხადებს, რომ კომისიის წევრებად ძირითადად ის ადამიანები აირჩიეს, რომელთაც საარჩევნო გამოცდილება ჰქონდათ. „საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისიის ექვს წევრს კონკურსის წესით. მე შემიძლია გითხრათ სტატისტიკა: ჩვენ სულ ავირჩიეთ 294 კაცი, აქედან 250 კაცს ქონდა საარჩევნო გამოცდილება, რომლებიც წინა წლებში მუშაობდნენ კომისიებში. ეს ადამიანები სხვადასხვა სახელისუფლებო პარტიის დროს ოლქის მიერ იყვნენ არჩეული კომისიის წევრებად“, – განმარტავს საოლქო კომისიის თავმჯდომარე.

„საიას“ ოზურგეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, იურისტი თამაზ ტრაპაიძე საუბრობს ოპოზიციური პარტიის მიერ მიწოდებული სიისა და ოლქის მიერ არჩეული რამდენიმე წევრის თანხვედრაზე. „სანამ გაიმართებოდა საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა, უბნებში კომისიის წევრთა არჩევასთან დაკავშიებით, ერთ-ერთმა ოპოზიციურმა პარტიამ მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ წინასწარ იყო განსაზღვრული საუბნო კომისიებში ოლქის მიერ დასანიშნ წევრთა ვინაობა. ჩვენ ვთხოვეთ ამ პარტიას, წარმოედგინა, მათ ხელთ არსებული იმ პირთა სია, რომლებიც სახელისუფლებო პარტიის აქტივისტებად მოიაზრებოდნენ. მათ მოგვაწოდეს ეს სია. 49 უბანზე იქნა არჩეული კომისიის წევრები. კანონის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისია ნიშნავს ექვს წევრს. 48 საარჩევნო უბნიდან ათ უბანში კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირდა მხოლოდ 6 კანდიდატი. რაც იმას ნიშნავს, რომ ამ უბნებზე კონკურენციის არარსებობის გამო, დარეგისტრირებული კანდიდატები ავტომატურად იქნებოდნენ არჩეული საოლქო კომისიის მიერ. დანარჩენ უბნებზე არ დაემთხვა არჩეულ წევრთა ვინაობა პარტიის მიერ მოწოდებულ მონაცემებს. ამ შემთხვევაში, რთულია, იმის მტკიცება, რომ ეს კანდიდატები წინასწარ იყვნენ შერჩეული, თუმცა ამის ეჭვი არსებობს“,

– აცხადებს იურისტი.

გიორგი ასათიანი

გაზეთი „ალიონი“

სტატია ქვეყნდება პროექტის „გაცნობიერებული არჩევანი–დემოკრატიის ფუნდამენტი“ ფარგლებში.
ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATIO
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

რომელი ადგილობრივი ორგანიზაციები დააკვირდებიან საპარლამენტო არჩევნებს ოზურგეთის საარჩევნო ოლქში

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელის, თამაზ ტრაპაიძის თქმით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებს გურიის სამივე საარჩევნო ოლქში დააკვირდებიან:

„მიმდინარე საპარლამენტო არჩევნებს ოზურგეთის №59/60 და ლანჩხუთი–ჩოხატაურის №61 ოლქებში საია 30 დამკვირვებლის მეშვეობით დააკვირდება.

წლების განმავლობაში, საია აკვირდება არა მხოლოდ არჩევნების დღეს, არამედ ატარებს წინასაარჩევნო პროცესების მონიტორინგსაც. გამონაკლისი არც წინა, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები იყო. საიას ოზურგეთის ოფისის მიერ ამ წელსაც დაფიქსირდა წინასაარჩევნო დარღვევები, რომლებზე საჩივარიც წარდგენილი იყო შესაბამის ორგანოებში.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში საიას ოზურგეთის ოფისის მიერ ჯერჯერობით, წარდგენილია 3 საჩივარი, ორი მათგანი დაკმაყოფილდა, მესამე კი განხილვის სტადიაშია.

საჩივრის დაწერა ჩვენი თვითმიზანი ნამდვილად არ არის, ჩვენთვის მთავარია, არჩევნები ჩატარდეს სამართლიანად და არ მოხდეს კანონის უხეში დარღვევა".

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი საარჩევნო პროცესებზე მონიტორინგს ახორციელებს ფონდ "ღია საზოგადოება საქართველოს" მხარდაჭერით. აპარატის 8 რეგიონულ ოფისში მუშაობს რეაგირების 26 ჯგუფი, დანიშნულია 8 სასამართლო მონიტორი და ამდენივე რეგიონული კოორდინატორი.

სასამართლო მონიტორები შეისწავლიან საჩივრის განხილვის პროცესს საოლქო საარჩევნო კომისიებში და სარჩელების განხილვის პროცესს – სასამართლოებში. არჩევნების დასრულების შემდეგ, მომზადდება სპეციალური ანგარიში, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატის მიერ არჩევნების მიმდინარეობის დროს გამოვლენილი დარღვევების შესახებ.

სახალხო დამცველის გურიის რეგიონული ოფისი, მონიტორინგს ახორციელებს ქალაქ ოზურგეთისა და ოზურგეთის თემში, ასევე ჩოხატაურის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში. პროექტის კოორდინატორია გურიის ოფისის მთავარი სპეციალისტი, ანა გახოკიძე. სახალხო დამცველის აპარატის ცხელი ხაზის ნომერია 14-81. გურიის რეგიონული ოფისის მისამართი: ქალაქი ოზურგეთი, აღმაშენებლის №9, საკონტაქტო ტელეფონები: 591 44 91 97; 0496 27 30 53.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 აგვისტოს არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგს 1 ივლისიდან შეუდგა. მონიტორინგი ხორციელდება აშშ საერთაშორისო განვითარებისა და ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ მხარდაჭერით. ორგანიზაციამ უკვე მონიტორინგის მესამე შუალედური ანგარიში გამოაქვეყნა. დამკვირვებლების მიერ გამოვლენილია პოლიტიკური ნიშნით ზეწოლა-მუქარის, ფიზიკური დაპირისპირებების, ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის, არაუფლებამოსილი პირის მიერ აგიტაციაში მონაწილეობის, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების, წინასაარჩევნო კამპანიისათვის ხელის შეშლის, სიძურვილის ენის გამოყენების, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის ბიუჯეტის ცვლილების, საარჩევნო კომისიის წევრების გადაცდომის და სხვა ფაქტები.

„სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლები 8 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე საარჩევნო სუბიექტების მიერ გამართულ 439 შეხვედრას დააკვირდნენ. როგორც ისინი აცხადებენ, მნიშვნელოვნად გაიზარდა სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით ოპოზიციური პარტიების წევრებისა და აქტივისტე-

გვ-6

რომელი ადგილობრივი ორგანიზაციები დააკვირდებიან საპარლამენტო არჩევნებს ოზურგეთის საარჩევნო ოლქში

ბის მიმართ განხორციელებული ზეწოლა-მუქარის შემთხვევები. იკვეთება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან ჩადენილი სავარაუდოდ, უფლებამოსილების გადამეტების ფაქტები, გამოვლენილია ოპოზიციური პარტიების ოფისებისა და სააგიტაციო მასალის დაზიანების ფაქტებიც

როგორც „სამართლიანი არჩევნების" აჭარა-გურიის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, მადონა ბერიძემ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, მათი დაკვირვების ობიექტია ამ რეგიონში შემავალი ყველა საარჩევნო უბანი:

„ჯერჯერობით ვერ გეტყვით, დამკვირვებელთა საერთო რაოდენობას, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ დამკვირვებელი ყველა ოლქში გვეყოლება, ასევე გვეყოლება მობილური ჯგუფი, რომელიც გადაადგილდება საარჩევნო ოლქებში, იმუშავებს იურიდიული ჯგუფიც, რომელიც გასწევს შესაბამის კონსულტაციებს საარჩევნო თემაზე". ოზურგეთში და მთლიანად გურიაში საპარლამენტო არჩევნებს აკვირდება ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, **"სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო", რომელიც ახორციელებს "საარჩევნო სისტემის განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის" მიერ დაფინანსებულ პროექტს "ჩვენი ხმა გადამწყვეტია".**

როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ნათია გიგიაძემ თქვა, მათი მიზანია, საინფორმაციო/საგანმანათლებლო კამპანიის საშუალებით, პროექტის სამიზნე თემებში სამოქალაქო ცნობიერების და ინფორმირების დონის ამაღლება არჩევნებისა და ქვეყნის საპარლამენტო ინსტიტუტის შესახებ.

ნათია გიგიაძის თქმით, უკვე მუშაობს ჩამოყალიბებული და შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი ახალგაზრდა „ლიდერთა ჯგუფი": "ჩამოყალიბებულია და შესაბამისი უნარ–ჩვევებით აღჭურვილია ახალგაზრდა "ლიდერთა ჯგუფი", რომელიც უკვე ატარებს "მრგვალ მაგიდებს" მოსახლეობასთან (აქცენტი აღებულია 18-25 წლის ახალგაზრდებზე). შეხვედრებზე ფასილიტატორები ხაზს უსვამენ არჩევნების გზით, ქვეყნის მართვის პროცესში ამომრჩევლის მონაწილეობის მნიშვნელობას, არჩევნების როლს თითოეული მოქალაქის ცხოვრებაში, სახელმწიფო მოწყობისა და არჩევითი ორგანოების ფორმირების წესს, მათ ფუნქციებს.

გურიის მხარის სამიზნე სოფლებში გაიმართება 60 "მრგვალი მაგიდა", რომელშიც მონაწილეობას მიიღებს მინიმუმ 1200 ახალგაზრდა ამომრჩეველი – პროექტის პირდაპირი ბენეფიციარები. არაპირდაპირი ბენეფიციარებია ამ ახალგაზრდების გარემოცვა, მათი მშობლები, მეგობრები.

პროექტის მონაწილეები შეიძენენ შესაბამის ცოდნას, მათ მიეცემათ შესაძლებლობა, წინასაარჩევნო, ან უშუალოდ არჩევნების დღეს, მოახდინონ შესაძლო დარღვევების პრევენცია, მათზე რეაგირება. გარდა ამისა, ყველანაირად მომზადებული იქნებიან, რომ თვითონ არ დაარღვიონ საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესები"

ოზურგეთის საარჩევნო ოლქში, ისევე, როგორც სხვა ოლქებში, სადამკვირვებლო მისიებს განახორციელებენ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი, ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესი და ამ მიზნით ცესკო-ში რეგისტრირებული სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიც.

თემურ მარშანიშვილი

გაზეთი „ალიონი"

სტატია ქვეყნდება პროექტის „გაცნობიერებული არჩევანი–დემოკრატიის ფუნდამენტი" ფარგლებში.
ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

სკანვორდი



№ 39-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე - მერაბ ბერძენიშვილი; გამხმარი ხილი – ჩირი; ევკალიპტის სახეობა – ვიმინალისი; სასვენი ნიშანი – ტირე; მშვიდობის სიმბოლო – მტრედი; საანგარიშო გამომთვლელი მანქანა - კალკულატორი; ეთიოპიის დედაქალაქი – ადის აბება; კომში – ბია; თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი – დასი; ძლიერი ქარი – გრიგალი; დაპროგრამების ენა – ბეისიკი; სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში – იანეული; ღორის ვაიში – ლანდრასი; ხის გადანაჭერი - კუნძი; ტროპიკული ხილი – ბანანი; იზოლირებული სადენი – კაბელი; მამაკაცის სახელი – იური; რაიონი აფხაზეთში - გალი; ცხენის კუდი – ძუა; ბამბის ქსოვილი – ნარმა; ილეთი ჭიდაობაში - სარმა; საწერი ფიცარი – დაფა; საზაფხულო ფეხსაცმელი – სანდალი; ქვასროლია ბიჭი – სესე; ქალის სახელი – აზა; „კაცია ადამიანის" პერსონაჟი – ლუარსაბი; „დაისის" პერსონაჟი – მარო; გონივრული გამონათქვამი – ანდაზა; გაზაფხულის თვე – მაისი; კურორტი იმერეთში – საირმე; ორწვერა მწვერვალი – უშბა; ვაზის ერთ-ერთი ვაიში – ვაანი; ... გორბაჩოვა - რაისა; დედამიწის გუმბათი – ცა.

თვითმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	მიწის ფართი კვმ	შენობის ფართი კვმ	„ბე“ 10 % (ლარი)	„ბიჯი“ 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)
1	არასასოფლო-სამეურნეო მიწა მასზედ განთავსებული შენობა	სოფ. წატაწები	26.01.73.137	86	20,4	73,60	36,80	50,00	736,00
2	არასასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. წატაწები	26.01.73.135	17		8,50	4,25	50,00	85,00

აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;
საპრივატიზაციო თანხის დაფარვა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში;

თვითმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები"

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	მიწის ფართი კვმ	„ბე“ 10 % (ლარი)	„ბიჯი“ 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)
1	სასოფლო-სამეურნეო მიწა	დაბა ლაითური	26.25.07.078	3 020	120,80	60,40	50,00	1208,00
2	სასოფლო-სამეურნეო მიწა	დაბა ლაითური	26.25.10.121	2 315	92,60	46,30	50,00	926,00
3	სასოფლო-სამეურნეო მიწა	დაბა ლაითური	26.25.10.125	2 000	80,00	40,00	50,00	800,00
4	სასოფლო-სამეურნეო მიწა	დაბა ლაითური	26.25.11.117	9 260	370,40	185,20	50,00	3704,00
5	სასოფლო-სამეურნეო მიწა	დაბა ლაითური	26.25.11.118	25 000	1000,00	500,00	50,00	10000,00
6	სასოფლო-სამეურნეო მიწა	დაბა ლაითური	26.25.11.119	5 000	200,00	100,00	50,00	2000,00
7	სასოფლო-სამეურნეო მიწა	დაბა ლაითური	26.25.11.120	11 500	460,00	230,00	50,00	4600,00
8	სასოფლო-სამეურნეო მიწა	დაბა ლაითური	26.25.12.107	11 353	454,12	227,06	50,00	4541,20
9	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. მთისპირი	26.24.13.140	23 990	959,60	479,80	50,00	9596,00
10	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. მთისპირი	26.24.13.143	3 000	120,00	60,00	50,00	1200,00
11	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. მერია	26.05.31.045	2 200	88,00	44,00	50,00	880,00
12	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ.მერია	26.05.20.041	2 789	111,56	55,78	50,00	1115,60
13	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. ოზურგეთი	26.12.16.121	21 465	858,60	429,30	50,00	8586,00
14	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. ასკანა	26.22.16.078	17 485	699,40	349,70	50,00	6994,00
15	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ.მელექედური	26.13.17.100	2 826	113,04	56,52	50,00	1130,40
16	სასოფლო-სამეურნეო მიწა	დაბა წასაკირალი	26.29.23.068	2 850	114,00	57,00	50,00	1140,00
17	სასოფლო-სამეურნეო მიწა	დაბა წარუჯა	26.27.05.096	2 259	90,36	45,18	50,00	903,60
18	სასოფლო-სამეურნეო მიწა	დაბა წარუჯა	26.27.05.095	2 575	103,00	51,50	50,00	1030,00
19	სასოფლო-სამეურნეო მიწა	დაბა წარუჯა	26.27.05.094	5 085	203,40	101,70	50,00	2034,00
20	სასოფლო-სამეურნეო მიწა	დაბა წარუჯა	26.27.05.093	3 567	142,68	71,34	51,00	1426,80
21	სასოფლო-სამეურნეო მიწა	დაბა წარუჯა	26.27.08.154	5 605	224,20	112,10	50,00	2242,00

აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;
საპრივატიზაციო თანხის დაფარვა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში;

იჯარა

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	გასაქირავებელი ფართი კვმ	„ბე“ 10 % (ლარი)	„ბიჯი“ 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	გასაქირავებელი ქონების ღირებულება(ლარი)
1	ფართი მუნიციპალურ საკ-ში არსებულ შენობაში	სოფ. ასკანა	26.22.15.003	17,20	26,00	13,00	50,00	260,00
2	ფართი მუნიციპალურ საკ-ში არსებულ შენობაში	ქ. ოზურგეთი	26.26.42.003.01.508	80,20	100,00	50,00	50,00	1 000,00

აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;
საპრივატიზაციო თანხის დაფარვა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში;

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

* დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განცხადება;
* „ბე“-ს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
* მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
* პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
* ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
* სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);
* მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა) ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.
* სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შემძენი შეიძლება იყოს კანონით განსაზღვრული პირი.
* "მონაწილის ბილეთის საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემოსავლების ერთიან ანგარიშზე, შემდეგ სახაზინო კოდზე 300903205;
* „ბე“-ს საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემოსავლების ერთიან ანგარიშზე, შემდეგ სახაზინო კოდზე:

- არასაცხოვრებელი შენობა 300903313; - საცხოვრებელი შენობა 300903306;
- არასასოფლო მიწა 300903390; - სასოფლო-სამეურნეო მიწა 300903394.

* დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიაში“; მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. 1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
* „აუქციონში მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 2016 წლის 3 ოქტომბრიდან 1 ნოემბრის 12 სთ-მდე;"
* **აუქციონი ჩატარდება 2016 წლის 20 სექტემბერს, 14 სთ-ზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შენობაში;**
* „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია“

ტელ: 599 704 770, 595 906 305, 599 333 223."

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა

უბლოკო სტატუსი

საქართველოს გამთლიანებისა და ეკონომიკური გაძლიერებისათვის

- საქართველო უცხო ქვეყნის ჯარების გარეშე
- ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივა
- ქვეყნის უსაფრთხო მომავალი
- ქვეყნის მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტი
- დაცული ეროვნული ინტერესები
- სამართლიანობის აღდგენა
- პასუხისმგებლობიანი ხელისუფლება და უფლებადაცული მოქალაქეები
- გახსნილი საერთაშორისო ბაზრები
- განვითარებული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა
- დასაქმებული მოქალაქეები
- ძლიერი ეკონომიკა და ძლიერი ოჯახი

ავთანდილ (ზურა) ჩხაიძე

ოზურგეთის ხმა საქართველოს პარლამენტში

გაჩემპიონებული ოზურგეთელი ფალავნები

თემურ მარშანიშვილი

საფრანგეთის ქალაქ მაკონში მსოფლიო ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის კარგა ხანია დამთავრდა, მაგრამ ამ ფორუმზე ქართველ ფალავნთა გამოსვლა იმდენად ტრიუმფალური იყო, რომ იგი დღესაც მთავარ სპორტულ თემად რჩება ჩვენზე გაცილებით დიდ და ავტორიტეტულ მედიასაშუალებებში. საქართველოს ნაკრები ჩემპიონატის დამთავრებამდე ადრე გახდა მსოფლიოს №1 გუნდი. ასეთივე ტიტული მოიპოვა მან ევროპის წლევანდელ ჩემპიონატში. მაკონიდან ქართველებმა ოთხი ოქროსა და ერთი ბრინჯაოს მედალი წამოიღეს. თუ არ ვცდები, ასეთი შედეგი არ ახსოვს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების ისტორიას.

რაოდენ სასიხარულოა, რომ მსოფლიო უმაღლეს ფორუმზე თავისი წონადი სიტყვა თქვა ოზურგეთის საჭიდაო სკოლამ. დავით ჩხარტიშვილი ჩემპიონის რანგში დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქსა და მუნიციპალიტეტს.

ახლოს იყო მედლის მოპოვებასთან მეორე ოზურგეთელი ფალავანი ლევან ქავჟარაძეც და რომ არა უძლიერესებთან პირველ ორ შერკინებაში ორი გამარჯვებისთვის ფიზიკური კონდიციების მაქსიმალური გახარჯვა, ასეც მოხდებოდა.

დავითსა და ლევანს გასულ ოთხშაბათს ოზურგეთის სპორტის სასახლეში მაშინ შეეხვდი, როცა ქ. ოზურგეთის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის თავკაცი გოჩა კვანტალიანი ოზურგეთელ მოჭიდაველებთან და მათ მწვრთნელებთან თათბირობდა.

თათბირის შემდეგ ბიჭებს მაკონის პერიპეტიების გასახსენებლად „ალიონის“ დიქტოფონთან ვუხმე.

დავით ჩხარტიშვილმა მაკონის საჭიდაო ხალიჩაზე შესანიშნავად ისპარეზა, ოთხი შეხვედრა ოთხი გამარჯვება და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული:

„მსოფლიო ჩემპიონატზე სუსტი მეტოქე არ არსებობს, მაგრამ პირველ შეხვედრაში გაკილებით ადვილად 8:2 დავამარცხე გერმანელი მოჭიდავე, მეორე შეხვედრაში იტალიელმა მოჭიდავემ გამიწია მედგარი წინააღმდეგობა, რომელსაც-საბოლოოდ 4:3 ვძლიე. ყველაზე დრამატული გამოდგა მესამე ორთაბრძოლა, რომლის დამთავრებამდე 8:7 ვაგებდი ყირგიზ მოჭიდაველთან, კაზეტთა შორის ოლიმპიურ ჩემპიონთან, კრიტიკულ მომენტში შევძელი გამარჯვების მომტანი ორი ქულის აღება. არანაკლებ დამბული გამოდგა ფინალური შერკინება, იაპონელი ნაბა მართლაც ღირსეული მეტოქეა, მაგრამ ცოტათი ვაჯობე და აქაც ერთქულიანი უპირატესობით, 4:3 გავიმარჯვე.

ველოდი თუ არა ჩემპიონობას? როგორ გითხრათ, წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლის მოპოვების შემდეგ, ვფიქრობდი ამ შედეგზე. ვისთანაც წავაგე, მას 5:1 ვუგებდი, მერე მოულოდნელად, წამიერად მუხლი ჩამეკეცა და სუფთაზე მოვყევი, ის კი ჩემპიონი გახდა, ჩემს თავს ვარწმუნებდი, რომ მეტი შემეძლო და შევძელი კიდეც“.

20 წლის ოზურგეთელი მსოფლიოს ჩემპიონი იდეალურ მოჭიდაველებს თავის თანატოლ მეგობრებში – ბათუმელ რამაზ დოლიძესა და ქუთაისელ ზვიად პატარიძეში ხედავს:

„რამაზი ძალიან ტექნიკურია, ჩემი აზრით, იგი ნამდვილი ამომავალი ვარსკვლავია, ზვიადი კი ბოლომდე მებრძოლია, შეუძლია ბოლო წამზეც კი გადაწყვიტოს გამარჯვების ბედი. როცა გვერდით ასეთი მეგობრები გყავს, ყოველთვის გამარჯვებისთვის ხარ შემართული“.

ახლა მოდით, ერთად გადავხედოთ 20 წლის ოზურგეთელი მსოფლიო ჩემპიონის დავით ჩხარტიშვილის სპორტულ კარიერას:

დაიბადა 1996 წლის 27 სექტემბერს. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ვარჯიში დაიწყო 2003 წელს, ოზურგეთის სასპორტო სკოლაში, მწვრთნელ ანზორ ლომაძესთან. მაღალი კლასის მოჭიდავედ მის ჩამოყალიბებასა და გამარჯვებებში მნიშვნელოვანი წვლილი მუეძღვის მწვრთნელებს ვლადიმერ და ირაკლი ზურაბიანებს. არის საქართველოს სამგზის ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული და პრიზიორი, ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი და ამავე წლის მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული.

ემზადება საქართველოს მორიგ ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად. აქედანვე უმიზნებს მომავალი ოლიმპიადის საჭიდაო ხალიჩას.

მაკონიდან წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ლევან ქავჟარაძეც მსოფლიო ჩემპიონის რანგში დაბრუნდა, ოღონდ გუნდურში. პირადში, ორი გამარჯვების შემდეგ, მესამე შეხვედრაში ის ქულებით დამარცხდა აზერბაიჯანელ მოჭიდაველთან, ვისაც დამაჯერებლად მოუგო წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე:

„ჩემპიონთა გუნდის წევრი რომ ვარ, როგორ არ უნდა მიხაროდეს, მაგრამ უმედლოდ რომ დავრჩი ამას ვერ ვეგუები. ისე მოხდა, რომ პირველ ორ ორთაბრძოლაში ორი უძლიერესი მეტოქე მრგო იაპონიიდან და რუსეთიდან, მათთან, განსაკუთრებით რუსთან, მოგებას დიდი ძალები შევალიე, რასაც მოჰყვა წონაში კლება, ამიტომ იყო, რომ აზერბაიჯანელთან ჭიდაობისას აღარ მეყო ფიზიკური კონდიციები. კიდევ შევხვდებით და აუცილებლად ავიღებ რევანშს“.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ლევანის იდეალია ზურა დათუნაშვილი:

„ზურასთანა მოჭიდავე იშვიათია. ტექნიკურია, საოცრად ლამაზ სტილში ჭიდაობს. ნამდვილი ფალავანია, ბოლომდე ღირსეულად მებრძოლი“.

ოზურგეთელი ლევან ქავჟარაძის სპორტული დოსიე ასე გამოიყურება:

დაიბადა 1996 წლის 21 ივლისს. ჭიდაობაში ვარჯიში დაიწყო მწვრთნელ ალექსანდრე ბოლქვაძესთან. არის საქართველოს სამგზის ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული და პრიზიორი, ევროპის ჩემპიონატის სამგზის და მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორი, მსოფლიოს ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში. ვარჯიშობს საქართველოს ნაკრებში. პირადი მწვრთნელებია ბექა ჩოფლიანი და დავით ბედინაძე.

ლევანი, ისევე, როგორც დავითი, ემზადება საქართველოს ჩემპიონატისთვის. იმედოვნებს, რომ მოიპოვებს მომავალი ოლიმპიური თამაშების საგზურს.

როგორც თათბირზე გოჩა კვანტალიანმა აღნიშნა, მოჭიდაველებს ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ყურადღება არასოდეს აკლდა, მაგრამ რაც მათთვის ქალაქ ოზურგეთის მერმა ბევი სიორიძემ გააკეთა, ასეთი რამ არც ახსოვს და არც გაუგონია:

„უნდა გითხრათ, რომ ოზურგეთელ მოჭიდაველებს ადგილობრივი ხელისუფლებიდან ყურადღება არასოდეს მოკლებია, მაგრამ რასაც მათთვის ქალაქის მერი ბევი სიორიძე აკეთებდა და აკეთებს, ასეთი არსად მინახავს და გამიგონია. ძალიან მაგარი მერი გვყავს“.

მწვრთნელები და გამარჯვებული სპორტსმენები კი, ქალაქის მერიასთან და მერთან ერთად, განსაკუთრებით ემადლიერებიან გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის დირექტორს გოჩა კვანტალიანს:

„აუცილებლად გეუბნებით, ეს შედეგები არ დადებოდა, რომ არა ქალაქის მერია და ქალაქის მერი, ბატონი ბეგლარ სიორიძე. რაც შეეხება ბატონ გოჩა კვანტალიანს, ეს კაცი, რომ იტყვიან, ჩვენს სუნთქვასაც კი გრძნობს, ჩვენთვის არ არსებობს მისგან გადაუჭრელი პრობლემა“, – გვითხრეს ძმებმა ზურაბიანებმა



ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2“ გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცედენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი:

26 მაისის ქ.№ 11ა.

(რ)

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, +11+23	მზე, ღრუბელი +12+23	მზე, +13+27	მზე, ღრუბელი +13+23	მცირე წვიმა, +13+19	მზე, ღრუბელი +11+21	მზე, ღრუბელი +11+18
3 ოქტომბერი ორშაბათი	4 ოქტომბერი სამშაბათი	5 ოქტომბერი ოთხშაბათი	6 ოქტომბერი ხუთშაბათი	7 ოქტომბერი - პარასკევი	8 ოქტომბერი შაბათი	9 ოქტომბერი კვირა